წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა, 13 მარტი 1916 წ. № 58

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

## ქართული კლუბის დარბაზში

## სემინარიის ქართველ მგალობელთა გუნდისაგან

**კვირას, 13 მარტს, 1916 წ.**

ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ი. კარგარეთლის ხელმძღვანელობით გაიმართება

## სასულიერო კონცერტი

ბილეთების ფასი 50 კ.—2 მ. 20 კ. იყიდება ქართულ კლუბში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (0)

## განცხადება

იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 1916 წ. 24 თებერვალს დაიდო **ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტსა და ინჟენერ ივანე სერგეის ძე პონდოევს შორის,** მისი საწყობიდან, რომელიც მოთავსებულია თბილისში ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164, იძლევიან თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას პირობის წერილში განსაზღვრულის ნიხრით.

ყოველგვარ ცნობებისა და მასალის მისაღებად უნდა მიჰმართონ სამხ. სამრ. კომიტეტის სამექანიკო განყოფილების კანტორას, ელისაბედის ქუჩა № 184

(10—120—5)

## ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

## შეშის საწყობი

## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერეო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და

## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

## ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

## სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

## სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—)

КАВКАЗСКОЕ ОБЩЕСТВО

содѣйствія развитію лечебныхъ мѣстъ

ИЗДАЕТЪ

иллюстрированный журналъ

## „ЦѢЛЕБНЫЙ КАВКАЗЪ“

выходящій 6 разъ въ годъ

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

для членовъ общества—безплатно.

| | |
|---|---|
| Для прочихъ лицъ съ доставкой и пересылкой: | на годъ . . 3 руб. |
| | на полугода . . 2 руб. |

**Отдѣльные № № по 50 коп.**

Подписка принимаетоя въ г. Тифлисѣ, Барятинская, 6, въ помѣщеніи редакціи газеты „КАВКАЗСКОЕ СЛОВО“.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—5

**ექიმი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 10 **მარტი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** რიგის რაიონში ბრძოლა ვითარდება. იაკობშტადტის რაიონში რუსებმა გაარღვიეს ხაზი. დვინსკთან რუსთა არტილერიამ მარჯვედ გაჰფანტა გერმანელთა რაზმები, რომელნიც შიშკოვის მახლობლად თავს იყრიდნენ. დვინსკის რაიონის სამხრეთით დრისვიატის ტბამდე ძლიერი საარტილერიო სროლაა. მინსიუნთან სეკლის ტბასთან გერმანელებმა კონტრ იერიში მიიტანეს და გუშინ დაკარგული თხრილების ნაწილი დაიბრუნეს. ამ ადგილის ცენტრში ძლიერი საარტილერიო სროლაა. ვილეიტ-მოჟეიკის ფრონტზე და მიაძიოლ ნაროჩის ტბის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელთა კონტრ იერიშები მოიგერიეს და ხელახლად წაიწიეს. ნაროჩის ტბის სამხრეთ ნაპირის რაიონში გერმანელები მოშხამული გაზიან ყუმბარებს ისროდნენ. სამხრეთით ტყის რაიონამდე მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. გალიციაში ზემო სტრიპის რაიონში კოზლოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსებმა მოიგერეს მტრის იერიში. სამხრეთით რუსებმა რაოდენამე წაიწიეს და დაიმკვიდრეს ლატაჩ-ხმელევკის შუა დაჭერილი მანძილი.

**შავი ზღვა.** მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსის ჯარები მტრის შევიწროებას განაგრძობენ.

**პეტროგრადი** 11 **მარტი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** ფრიდრიხშტადტის მიდამოებში ჩვენი მზვერავები დვინაზე გადვიდნენ და გერმანელების ტყვის მტყორცნელი ჩაიგდეს ხელში. იაკობშტადტის მიდამოებში გაძლიერებულმა გერმანელებმა ავგუსტინგოფში კონტრ იერიში მიიტანეს, რომელიც მოვიგერიეთ. ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრივ ბარგუნების ტბიდან ჩვენი წინსვლა განვითარდა. დვინსკთან ჩვენმა ჯარმა მტრის კონტრ იერიში მოიგერი: და წინ მიიწევს. სამხრეთით დვინის მიდამოებიდან ბრძოლა გრძელდება. ვედზის მიდამოებში ჩრდილოეთ მელკელი-კლიპესთან (ჩრდილოეთ-დასავლეთით სეკლის ტბიდან) 10 მარტს მთელი ღამის განმავლობაში საშინელი ბრძოლა იყო, ზოგ ადგილას ხელ-ჩართულიც. მიუხედავად მტრის ძლიერი ცეცხლისა, ჩვენი ჯარის მედგარმა იერიშებმა მტრის სიმაგრეები გადალახა კლიპის მიდამოებში. გერმანელთა კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. ჩვენი ირტილერია მტერს ხელს უშლის სიმაგრეები შეასწოროს. ნაროჩის და ვიშნევსკის ტბებს შუა ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ბლიზნიკ-მოკრიცას რაიონში ჭალიდან მტერი გამოსდევნა, რომელიც გამაგრებული იყო მავთულების ხლართით. როგორც დამატებითი ცნობებიდან ირკვევა:

5—8 მარტის ბრძოლებში ჩვენმა ჯარმა პოსტავის ჩრდილო-დასავლეთის მიდამოებში ტყვედ წამოიყვანა 2 გერმანელი აფიცერი და 180 ჯარისკაცი. ნაროჩის ტბის მიდამოებში—18 აფიცერი და 1255 ჯარისკაცი. ამის გარდა დავლად დაგვრჩა 18 ტყვიისმფრქვეველი, 26 საველე ყუმბარების მტყორცნელი, 10 ხელის ყუმბარის მტყორცნელი, 2 მინომეტი, 15-სანტიმეტრიანი მოორტირა, 2 პროჟექტორი, 637 თოფი, ერთი ყუთი ყუმბარებით, 300 ხელით სასროლი ყუმბარა და 12 დროგი საბრძოლი მასალებით. სამხრეთით პოლესიის მიდამოებამდე და გალიციაში ბევრ ადგილას გაცხარებული სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** ჩვენი წინსვლა გრძელდება.

სპარსეთში, სამხრეთით ურმიის ტბიდან, ქურთების და ოსმალების რამდენიმე რაზმები გავფანტეთ.

**პარიზი,** 10 მარტი. (დაგვიანებულია) დღის ცნობა. დასავლეთით მაასიდან ღამის განმავლობაში ზარბაზნის სროლა ცოტათი დაცხრა. მტერს უნდოდა იერიში განეახლებინა ოკურის მაღლობზე, რომელიც ჩვენ გვეჭირავს. მაასიდან აღმოსავლეთით საშინელი სროლა იყო რამდენიმე ადგილზე. ვევრზე ღირს შესანიშნავი არაფერი არა მომხდარა. აღმოსავლეთით პონტ-ა-მუსონიდან მოულოდნელად მტრის თხრილებს დავეცით პეიანგეს მიდამოებში. რამდენიმე კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. სხვა ადგილებში ღამე სიწყნარე იყო.

**პარიზი,** 11 მარტი. დღის ცნობა. ჩვენი ზარბაზნები მთელი ღამის განმავლობაში მალანკურის ტყეს უშენდნენ. „285“ მაღლობზე, ნაღმი ავაფეთქეთ, ორმო ჩვენ ჩავიგდეთ ხელში მაასის დასავლეთით ღამემ მშვიდობით ჩაიარა. აღმოსავლეთით დუომონდაილუგის მიდამოებში დრო გამოშვებით არტილერია მოქმედებდა. ვევრში მულენფილის და ეპარჟის მიდამოებში ორთავე მხარემ საშინელი ზარბაზნის სროლა ასტეხა. შესანიშნავი ცვლილება კი არ მომხდარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მორატის აზრი ვერდენზე.**

„Berliner Tageblatt“-ის სამხედრო მიმომხილველი მაიორი მორატი სწერს: ვერდენთან ბრძოლა გერმანელებმა ბრძოლის ხაზის გამოსასწორებლად დაიწყესო. მორატი იმოწმებს გენერალ ფონ-კლიაზევიცის აზრსაც. ფონ-კლიაზევიცი ამბობს: „ციხე-სიმაგრეებს დიადი სამსახურის გაწევა შეუძლიათ მომგერებლებისთვი. თუ მომგერებელი სიმაგრეს არ არის შეფარებული იგი მეტად ადვილი დასაზიანებელი და სავნებია, როგორც უფარო სხეული“. მორატი ამბობს: თუმცა ფონ-კლიაუზევიცმა ეს დიდი ხნის წინად დასწერა, მაგრამ სიმაგრეებს ეხლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აგერ უფრო წელიწად ნახევარია რაც ჩვენი დასავლეთის მტერი თავის ჯარს ისე უცქერის როგორც მომგერიებელს, სიმაგრეებს კი, როგორც მოგერიების ადგილს.

მაგრამ საფრანგეთის სამხედრო ისტორიის მომავალი მიუდგომელი მემატიანე, საკუთრივ ვერდენის დაცვის თაობაზე უეჭველია აღიარებს,—ვერდენის აღება მხოლოდ იმიტომ გაჭიანურდა, რომ გერმანელები იერიშით არ მისულან. მარნასთან ბრძოლის მეორე დღიდანვე, როდესაც ვერდენი სამი მხრით გარშემორტყმული იყო, კლიაუზევიცის აზრს რომ მივდიოთ ეს სიმაგრე უკვე „ფარს“ აღარ წარმოადგენს. უკეთეს შემთხვევაში ვერდენი არის „კარი-ბჭე შესევისათვის“. ასეთ კარი-ბჭეს კი მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც მის შენგრევას იერიშით სცდილობენ. ასეთი რამ ჩვენ არ გვიცდია. ჩვენ ვცადეთ იერიში დიუმონთან და ავიღეთ კიდეც“.

**ლიბკნეხტის სიტყვა.**

როგორც გაზეთი Vorvaerts-ი გადმოგვცემს ხარჯთ-აღრიცხვის დროს ლანდტაგში ლიბკნეხტმა, სარაევოს მკვლელობის შესახებ, სთქვა: „სასურველია სკოლებში მოწაფეებს აუხსნათ, რომ სარაევოში მომხდარი შემზარავი მკვლელობა, არამც თუ მიზეზი იყო ომისა, არამედ ფართო საზოგადოება ამ ბოროტ-მოქმედებას აღტაცებით შეჰხვდა, რადგანაც შემთხვევას ელოდა ომის გამოცხადებისათვის.

**ენვერ ფაშა**

კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ იქ დაბრუნდა ენვერ-ფაშა თავისი დიდი ამალით სირიაში, პალესტინაში და არავიაში მოგზაურობის შემდეგ. მან დაათვალიერა სამხერო გზები და გზატკეცილი ოსმალეთის ჯარისა და სამხედრო ავტომობილების გადასაყვანათ.

**ბულგარეთის მზადება**

ბულგარელი დეზერტირები იტყობინებიან, რომ გერმანიის და ბულგარეთის ჯარი ამაგრებენ დოირანის და გევგელის საზღვრებს. ამას წინად ბულგარიის მრავალ რიცხოვანი ჯარი სადღაც გადაიყვანეს და მათი ადგილი დაიჭირა გერმანეთის ჯარმა.

**სტამბოლი.**

სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ ქალაქის ერთი ნაწილი ბეთუკ-დერე სულ გადაიბუგაო. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან. ამბობენ ცეცხლი განზრახ მოუკიდესო.

**ცეპელინი.**

გერმანეთის შტაბი იტყობინება: ბალკანეთის ასპარაზზე ჩვენმა ცეპელინმა 18 მარტს, ღამე, მტრის ფლოტილიას ყარა-ბურთან ყუმბარები დაუშინა.

**ბრძოლა ვერდენთან.**

ფრანგების მდგომარეობა ვერდენთან დღითიდღე უკეთესდება. 26 დღის ომის განმავლობაში ფრანგების მაშველი ჯარი ომში მონაწილეობას არ იღებდა. გერმანიამ ვერსად გაარღვია რკალი, ისე რომ მოქმედებას უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს. ბრძოლის დროს, გერმანიის 3,000 ზარბაზანი ერთად ახმაურდა. ქალ. ვერდენში თხუთმეტი საათის განმავლობაში 38 სანტიმეტრიან ყუმბარებს უშენდნენ. ფრანგების ზოგიერთ ადგილას, ათი საათის განმავლობაში 100 ათასი მტრის ყუმბარა ჩამოვარდა. რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ხუთი მილიონი კილოგრამი ტყვიის მტყორცნელის ტყვია გაფრინდა. რამდენიმე დღეში ხუთ მილიონმა ზარბაზნის ბომბამ დედამიწამ სულ გადაატრიალა. ვერდენის ფრონტზე მიწის წიაღში 250,000 ტონი რკინაა ჩამარხული.

**ჰაეროპლანების მოქმედება**

ხუთშაბათს ფრანგების ჰაეროპლანებიდან ყუმბარები დაუშინეს დედეაგაჩთან ბანაკს, რასაც დიდი ზარალი მიაყენეს. პარასკევს სალონიკზე გადაფრინდა გერმანიის ცეპელინი, შაბათს გადაიფრინა ჰაეროპლანმა. მათ ზარბაზნები დაუშინეს და უკუაგდეს.

**რუსი ტყვეები რუმინიაში.**

მთავრობამ ნება დართო რუსებს, რომლებმაც ავსტრიის ტყვეობას თავი დააღწიეს და მათ თავი შეაფარეს, დაბრუნდნენ რუსეთში.

**ყუმბარების აღმოჩენა ბუქარესტში.**

ძჟურძჟევში ყურადღება მიაქციეს ორ ვაგონს, რომელიც შაქრის ბოჩკებით სავსე იყო. გასინჯვის დროს აღმოაჩინეს შაქართან ერთად ყუმბარები. ბარგი გერმანეთიდან ოსმალეთში იგზავნებოდა. ბარგი დაიჭირეს.

**ოსმალეთი ზავზე ჰფიქრობს.**

„Tribune de Genéoe“ კატეგორიულად ადასტურებს, რომ ჟენევაში მოვიდნენ ნაბი-ბეი, რიფაატ-ფაშა და სხვა გამოჩენილი ოსმალონი. ნაბი-ბეი მალ-მალე დაიარება ბერნში და ბერლინში. ჟენევაში მოელიან აგრეთვე ტაალატ-ბეის მოსვლას.

ხმები, ვითომც ოსმალეთი ცდილობდეს სეპარატიული ზავის ჩამოგდებას, მტკიცდება.

**მთაშვეთის მემკვიდრის შეპყრობა.**

აქ მოვიდნენ მთაშავეთის 30 ოფიცერი, რომლებმაც გადმოსცეს, რომ სკუტარში ტყვედ ჩაუვარდა მთაშავეთის მემკვიდრე მირკო, ღენერლებ ვუკოვიჩთან და მარტინოვიჩთან ერთად. მიუხედავათ სეპარატიული ზავის ჩამოგდებისა ავსტრიის და მთაშავეთის შორის, ავსტრიის მთავრობა ჰბატონობს მხარეს. ადგილობრივი მთაშავეთის მთავრობა აღნიშნავს თავის საცოდავ მდგომარეობას.

**ჰერცგერცოგი კარლ-ფრანცი.**

ვენიდან იტყობინებიან, რომ ჰერცგერცოგმა კარლ ფრანც-იოსეჰმა მიიღო ფელდმარშალ, ლეიტენანტის და ვიცე-ადმირალის ღირსება.

## უკანასკნელი ფოსტა

**რუსეთის ასპარეზი.**

„ნოვ. ვრემ.“ სწერს: ჩრდილოეთის ასპარეზზე ჩვენი შეტევის მიზანია, გერმანელების მარცხენა ფრთას შემოუაროთ. სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზზედაც გაცხარებული ბრძოლაა. ცხადია, მოპირდაპირენი სცდილობენ მტრის ორივე ფრთით შემოვლას.

**ბრძოლა ზღვაზე.**

ბერლინიდან იტყობინებიან: გერმანეთის ახალმა საზღვაო მინისტრმა კაიზერი დაარწმუნა, დადგა დრო გერმანეთის ფლოტი კილის არხიდან დაიძრას და ზღვაზე ბრძოლა გააჩაღოსო.

## ბრძოლის ველზე

ვერდენი კიდევ მტკიცედა სდგას, თუმცა მდგომარეობა სერიოზული ხდება, კრიზისი მწიფდება. გარდამწყვეტ პუნქტებს, მალანკურ-ბეტანკურ-მორტომ-კიუმიერზე საშინელი საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს. ამ ხაზის დაუფლება გარდასწყვეტს ვერდენის ან დაცემისა, ან და სრულს იზოლაციის საკითხს, ვინაიდან ამავე დროს, როგორც ოფიციალი ბიულეტენები გადმოგვცემენ, ვევრშიაც ბულენვილისა და ეპარჟის სექტორშიც გენერალ შტრანცის არმია ახლა დემონსტრაციებს კი არ ახდენს, არამედ ქარიშხალისებურ საარტილერიო ცეცხლით ბრძოლას ამწვავებს და უნდა ვიფიქროთ, რომ იერიშებითაც ეკვეთება. მისი ყოველი წინ გადმოდგმული ნაბიჯი მოჰსწევს რკინის რკალს და დასავლეთით წამოსულ არმიას შესაერთებლად დაუახლოვებს.

რუსეთის ფრონტზე რიგა-დვინსკის ბრძოლა მწვავდება. რუსები თამამად იქცევიან. გენერალ კუროპატკინს, ეტყობა, ჰსურს ინიციატივა ხელიდან გამოსტაცოს ისეთს დახელოვნებულ მოწინააღმდეგეს, როგორიც მოხუცი ჰინდენბურგია.

სოლუნთან ხმაურობენ, უკედ, ჩურჩული ისმის, მაგრამ ეს მხოლოდ სადემონსტრაციო ბაქი-ბუქია, ვიდრე აქტიური ნაბიჯი რომელიმე მხრის.

საზოგადოდ მოკავშირენი ერთის შეხედვით თითქოს მზადებაში არიან საზოგადო იერიშისთვის. ვნახოთ, რა როგორ შეიცვლება.

X.

**თბილისი, 13 მარტი.**

**ქართული „მაღალი წრე“**

ჩვენი უბედურებაა რომ ქართველი ხალხისა და საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მთავრობისაგან დამოუკიდებელია და პირადი კეთილ დღეობის საწინდარს სახელმწიფო სამსახურში არ ჰხედავს, რომელიც, მაშასადამე, თავის მოქმედებაში და სიტყვაში მარტოდ მარტო საზოგადო ინტერესით და თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, დახშული კარის წინაშე სდგას და ყოველგვარი საშუალება მოსპობილი აქვს თავისი ხმა მიაწოდოს, თავისივე საქმეების შესახებ, საცა ჯერ არს. ეს უკუღმართობა, რომელიც რუსეთის საერთო პოლიტიკური ვითარების შედეგია, ჩვენში ნამდვილ ეროვნულ უბედურებას მოასწავებს, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკურ ეროვნულ მდგომარეობის გამო. დიდი ეროვნული საქმეებისა და საკითხების დაცვა თუ აღძვრა, საქვეყნო ინტერესების გამოქომაგება და პირველ საჭირო რეფორმებისთვის თავის გამოდება, ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც მთელს ქართველობას ეხება, მთელ ხაქართველოს, და რაიცა თავგამეტებას და გამბედაობას მოითხოვს, ძალაუნებურად ისეთი წრისა თუ წოდების საშუალებით უნდა იქმნას წამოყენებული და თქმული, რომელიც ერიდება უფროსის განრისხებას, ჩინ-მენდლებით არის მოსილი, სახელმწიფო სამსახურით სცხოვრობს, წარმატებას და წარჩინებას ელტვის და ელოდება. ასეთი „პუბლიკა“ თავის დღეში გაბედულ სიტყვას ვერ იტყვის, თვის დღეში ბრძოლის პოლიტიკას ვერ აწარმოებს. ხელქვეითი, დამოკიდებული, იგი ეცდება არც მწვადი დასწვას და არც შამფური, არც ბატონს აწყენინოს და არც საზოგადოებას! ასეთ ხალხის ხელში შეუძლებელია ეროვნულმა საქმეებმა იხეიროს და ეროვნულმა ინტერესმა დაცვა და მფარველობა ჰპოოს! და არც აქამდისინ უხეირნია!

მეორეს მხრივ გინდა არ გინდა, ყოველმა აღსაძრავმა საკითხმა ამ წრის ხელში უნდა თავი მოიყაროს, მის ტემპერამენტში გაიცხრილოს და ისე ეცნობოს და გადაეცეს, ვისაც ჯერ არს. კანონიერი, ლეგალური მუშაობის შემოქმედების ტრაგიზმი სწორედ აქ არის!

საზოგადო საქმეების მოგვარება და საერთოდ ჩვენი ქვეყნის წარმატება შეუძლებელია მანამ, სანამ საქართველო საბოლოოდ თავს არ დააღწევს ამ მდგომარეობას.

დღეს-დღეობით კი მებრძოლმა საქართველომ, რომელიც მთავრობისაგან არაფრით არის დავალებული, არც სამსახურით და არც ჩინ-ეპოლეტებით, უნდა მოიკრიბოს თავისი ძალ-ღონე და თავის მუდმივ მორალურ გავლენის ქვეშ იყოლიოს ეს წრე, რომელიც ჩვენს უბედობას, ჩვენს porte-parole-ად და წარმომადგენლად გაუხდია!

**მეურნეთა ყრილობის საჭიროება**

რუსეთი ეკონომიურად დაც ჩამორჩენილი ქვეყანაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების თითქმის ყოველ დარგში ცხოველი მუშაობა სწარმოებს. იმართება ვაჭარ-მრეწველთა და მეურნეთა ყრილობები, არსდება ორგანიზაციები, კავშირები, რომელთა მეოხებით სახელმწიფოს ცხოვრებაში ომის მიერ გამოწვეულ ცვლილებებს იკვლევენ, ეხლანდელ ვითარებას ითვალისწინებენ და შეთანხმებულის ძალით მომავლისთვის ემზადებიან. ომის საშინელმა ქარტეხილმა რუსეთის მიდუნებული ცხოვრება ისე მძლავრად შეარყია, რომ მისი მიძინებული ეკონომიური ძალები გამოაფხიზლა და აამოქმედა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

რუსეთის ეკონომიური ურთიერთობა ძირიანად გამოიცვალა, აწმყო სახიფათოა, მომავალი ბუნდოვანი, გამოურკვეველი და ეკონომიური ცხოვრების ასეთი რყევა და ცვალებადობა რომ საზოგადოებას აფხიზლებს, მასში თვითმოქმედებას იწვევს, სრულიათ ბუნებრივი მოვლენაა.

სამწუხაროდ ამ ომმა ეს სასარგებლო ცვლილება ჩვენს ცხოვრებაში ჯერ ვერ შემოიტანა და ჩვენი ქვეყნის უმოქმედობიდან გამოყვანა განვლილ საშინელებებმაც ვერ მოახერხეს.

ჩვენი მდგომარეობა კი მეტად ჩამაფიქრებელია. შარშან ჩვენი ხალხი დაიმშა. ეს მოუსავლობით იყო გამოწვეული. წრეულს კარგი წელიც რომ დადგეს, ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში ნათესი მიწები ნახევრად შემცირებულა და საეჭვოა რომ ჩვენ სიმშილი სავსებით თავიდან ავიცდინოთ. რუსეთში კი ამ ზომად დამუშავებული ყანები არ შემცირებულა და მას ცუდი მოსავალიც რომ ეწვიოს, ძველი თუ ახალი ხორბალი მას სავსებით გამოკვებავს. ამასთანავე დათესილ მიწების მოვლას ყოველგან მოახერხებენ თუ არა, ესეც საკითხავია. სოფელს მუშა ხელი მეტად შეუმცირდა. ეხლა მას მუშა საქონელიც შემოაკლდება.— მთავრობა რეკვიზიციას ახდენს და ჩვენი მეურნეობა უსაქონლოდ რჩება. არ მოგვეპოვება საჭირო მანქანები, თესლეულობა თუ წამალი და სხ. ამასთანავე ძირიანად შეიცვალა ჩვენი მეურნეობის სხვა და სხვა დარგის სამოქმედო ნიადაგი. ღვინის, აბრეშუმის, მატყლის თუ თამბაქოს ბაზარი მეტად შეირყა. მაგრამ ვერც ამან და ვერც მოსალოდნელმა საფრთხემ ჩვენი ცხოვრება უმოქმედობიდან ვერ გამოიყვანა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძალები მოძრაობაში და მოქმედებაში ვერ ჩააბა.

მიუცილებელია, მეურნეთა ფართო წრეები რომ ამოქმედდნენ, თორემ ძალთა ასეთი დაქსაქსულობა სასიკეთოს ვერაფერს ვერ მოგვიტანს. ასეთს დროს არავისი ცოდნა, გამოცდილება თუ პირადი თვისებები არ უნდა იკარგებოდეს. დღეს კი ყველა თავისთვის ცდილობს და მხოლოდ თავის სასარგებლოთ მოქმედობს. ჩვენმა მეურნეობამაც თავიანთ ძალები უნდა გააერთიანონ; თითეულის ცოდნა, გამოცდილება ყველას სასარგებლოთ უნდა გახდეს. მხოლოდ ასეთი გაერთიანება და შეკავშირება თუ შეგვაძლებინებს ჩვენი ქვეყნის შერყეული ეკონომიური ურთიერთობის გამობრუნებასა და გაძლიერებას. საკმაო არ იქნება მთავრობის, რომელიმე დაწესებულებისა თუ კერძო პირთა ცდა და დახმარება. მხოლოდ მეურნეთა ფართო წრეების შეგნებულად, გარკვეულის მიზნით ამოძრავება თუ დაიფარავს ჩვენს ქვეყანას მოსალოდნელ ხიფათისაგან. ჩვენი მეურნენი, როგორც სჩანს ამას უკვე გრძნობენ. ისინი სხვა და სხვა კუთხეში კრებებს მართავენ. ეს არ არის საკმაო. **უთუოდ მოწვეული უნდა იქმნეს სრულიად საქართველოს მეურნეთა ყრილობა**, ან თუ ეს არ მოხერხდება—ორი ყრილობა—დასავლეთს და აღმოსავლეთ საქართველოში. ასეთი ყრილობა, შესძლებს ჩვენი ეკონომიურ ვითარების შესწავლა-გათვალისწინებას და მის გასაუმჯობესებლად შესაფერ ღონისძიების გამონახვას.

## დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**„ინვალიდი“ სწერს: ბულგარეთის ჯარის ნახევარს რუმინეთის საზღვრებზე მოუყარეს თავი. ეს კი იმისი მომასწავებელია, რომ ბრძოლის ახალი ასპარეზი იხსნება.**

—

**ჰოლანდიის ნავოსნობა შეჩერებულია.**

—

**მოსკოვზე გამოიარა სპარსეთისაკენ მიმავალმა ინგლისის მისიამ.**

—

**ოსმალებს იმედი აქვთ კუტელამართან ბრძოლა მალე გამარჯვებით დაამთავრონ.**

—

**ვაშინგტონიდან იტყობინებიან, ომი მალე დასრულდებაო.**

—

**ამერიკის სამხედრო მასალის დამმზადებელ ქარხნების აქციების მაზანდა დაეცა.**

## ახალი ამბავი

✦ **თეთრ ბილეთიანების შეღავათი.** თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებულ დეპეშისა თეთრბილეთიანების გაწვევა გადაიდო მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე.

✦ მიწად-მოქმედების დეპარტამენტს საზღვარ-გარეთიდან გამოუწერია ბოსტნეულ მცენარეულობის თესლი. ნაწილი ამ თესლისა სხვათა შორის გამოეგზავნება კავკსიის დეპარტამენტის რწმუნებულსაც.

✦ პეტროგრადში რეკვიზიცია მოუხსნიან ხრომის, შევროსი და ლაიკის ტყავზე. რეკვიზიცას არ ექვემდებარება აგრეთვე ის ტყავეულობა თუ წონით ვაჭრებს თვითეულ ხარისხიდან 15 ფუთზე მეტი არა აქვთ.

✦ სინოდის განკარგულებით ომში გაწვეულ მუშათა ჯვრის წერა სამხედრო უწყების ნება დაურთველად აკრძალულია.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით საკვებ და სათესლე დახმარების აღმოსაჩენად 25 მილიონი მანეთი გადაიდო.

✦ პრესის წარმომადგენლებს საარჩევნო კრებებზე განსაკუთრებული ადგილები დაეთმობათ.

✦ **საერობო კავშირს** დაევალა დაარსება ახალ სამკურნალო სასანიტარო ორგანიზაციებისა ენზელ-ისფაჰანის და ენზელ-ქერმანშაჰის ოლქებში.

✦ **სავაჭრო ბანკს** გასულ საოპერაციო წელს წმიდა მოგება 422 ათასი მანეთი დარჩენია, რაიც $8^0/_0$ უდრის ძირითად თანხისას (5 მილიონ მანეთისას). აქციონერებს დივიდენდი $7^0/_0$ მოუვათ თითო აქციაზე.

✦ **ავლაბრის „ინტერნაციონალურმა ჯგუფმა“** შუამდგომლობა აღძრა, რომ ხმოსანთა კანდიდატების სიების მიცემის ვადა 23 მარტამდე გაგრძელდეს. ამ ჯგუფს 9 კანდიდატი დაუსახელებია: 2 ქართველი, 1 რუსი და 6 სომეხი. ქართველები არიან მ. ნ. კვეზერელი-კოპაძე და ნ. ე. წვეროვი. დანარჩენ კანდიდატებს ეს ჯგუფი დაასახელებს შემდეგ იმისა, როცა გამოირკვევა ავლაბრის მეორე „შეერთებულ ჯგუფის“ არჩევნების შედეგები.

✦ **კავკასიის ბანკს** (ყოფილ კომერციულს) გასულ საოპერაციო წელს 1 მილიონი წმინდა მოგება დარჩენია. პაის პატრონთ 15 მან. ერგოთ თითო პაიზე. 20 მარტისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ამ ბანკის აქციონერებისა განსახილველად წლიურ ანგარიშისა და ახლა პრეზიდიუმისა ასარჩევად.

✦ **სასულიერო კონცერტი.** დღეს, 13 მარტს, „ახალი კლუბის“ საკონცერტო დარბაზში გაიმართება სასულიერო კონცერტი სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. მიზანი კონცერტისა და საინტერესო პროგრამა საგალობლებისა გვაიმედებს, რომ ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ კონცერტს და მოისმენს ჯერ უცნობ ახალ ნაწარმოებს ზ. კარგარეთელისას.

✦ **მიწად მოქმედების** დეპარტამენტმა 1000 მანეთი გამოუგზავნა საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას.

✦ **ქალაქის არჩევნების გარშემო.** თბილისის მოქალაქენი უჩივიან ქალაქის თვითმართველობის ზოგიერთ მოსამსახურეთ, რომელნიც აშკარად აგიტაციას ეწევიან გაბატონებულ ჯგუფის სასარგებლოდ და სახმოსნო კანდიდატების სიებსაც კი აჩეჩებენ ხელში ამომრჩევლებს. ექიმი იგიტიანცი ამასაც არ სჯერდება და ავლაბარში [illegible] იმ ჯგუფის [illegible] მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული კლასის მომხრეა და სახმოსნო კანდიდატთა სიაში სხვა ჯგუფის მომხრე ერთიც არავინ შეუტანია.

✦ **ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირი.** იმ დაწესებულებებმა რომელთაც მოისურვეს წევრებად ჩაეწერონ ქართულკულტურულ საზოგადოებათა კავშირში, თავიანთ საზოგადო კრების დადგენილების ოქმი უნდა წარმოუდგინონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას 12 აპრილამდე, როცა კავშირის დამფუძნებელთა კრება არის დანიშნული. ოქმში აღნიშნული უნდა იყვეს გადაწყვეტილება შესახებ იმისა, რომ 1) საზოგადოება ეწერება წევრად კავშირში და 2) ის პირნი, რომელნიც საზოგადოების წარმომადგენლებად არიან კავშირში არჩეულნი.

✦ **ფოსტის ბინის გამოცვლა.** ორშაბათს 14 მარტიდან თბილისის საფოსტო კანტორა ახალ ბინაზე გადადის, მიხეილის პროსპექტის და კოლონიისკი ქუჩის კუთხეში, სადაც იმ დღიდანვე დაიწყება ყველა საფოსტო ოპერაცია.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების** გამგეობის კრებაზე 11 ამა თვეს გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილებანი: 1) საზოგადო კრების დავალებით არჩეულ იქმნას საგანგებო კომისია ქართველ მოღვაწეთა პანთეონის არქიტექტურულ გეგმის შესადგენად. კომისიაში არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარე საზოგადოებისა გ. ნ. ყაზბეგი, მის ამხანაგათ—დ. გ. კარიჭაშვილი, გ. მ. ლასხიშვილი და დეკ. ი. მირიანაშვილი. ამ კომისიამ სპეციალისტთა დახმარებით უნდა შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს გამგეობას ზემო აღნიშნული გეგმა. გამგეობა თავის მხრივ ამ გეგმას საზოგადო კრებას წარუდგენს განსახილველად. 2) გამგეობამ დაამტკიცა სასკოლო სექციის მიერ გამოტანილი დადგენილება შესახებ აკაურთის სკოლაში მასწავლებლის დანიშვნისა. ხსენებულ სკოლაში გასაწესებლად სექციამ აირჩია მასწავლებელი ივანე კვარაცხელია. 3) ბაისუბნის სკოლაში (კობალზე) დაამტკიცა მასწავლებლად თამარ ზაქარიაშვილი, რომელსაც დამთავრებული აქვს ეპარქიალური სასწავლებელი და ამავე სკოლაში გასაგზავნად გადასდო 43 მანეთის წიგნები. 4) გამგეობამ, მოისმინა-რა სასკოლო სექციის დადგენილება თასმალოში (საინგილო) სკოლის დაარსების შესახებ, საჭიროდ სცნო წინასწარ შეკრებილ იქნას ცნობები ადგილობრივ გავლენიან პირთა შორის, თუ რამდენად არის ნიადაგი მომზადებული ქართული სკოლისა, რამდენად თანაუგრძნობენ ადგილობრივი მცხოვრებნი ამ საქმეს და სხვა. ამ ცნობების მიღების შემდეგ გამგეობა სკოლის გახსნის საკითხს გადასწყვეტს და თუ სკოლის გახსნა საჭი-

## მოხსენება

**ქართულ მწერლობის აღნუსხვის შესახებ.*)**

მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ დღევანდელ ჩვენ ბაასის უმთავრესს საგანს, შეადგენს—აგრედ წოდებულ—ქართულ მწერლობის აღნუსხვის საკითხი, ე. ი. ქართულ პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის შედგენისა და ბეჭდვის მოწესრიგება.

ამისათვის—ჩვენ განვიზრახეთ ერთგვარ განსაკუთრებულ წრის დაარსება, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს და ყოველგვარ დახმარებას უნდა უწევდეს—„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ გამგეობასთან ერთად ჩვენი პრესის წარმომადგენელთა კავშირიც.

ვიდრე ჩვენ შევეხებით დღევანდელ მოხსენების არსებით მხარეს, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ მაინც, აღვნიშნოთ ქართულ მწერლობის აღნუსხვის მნიშვნელობა და მისი საჭიროება; საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს თვით ამ განზრახულ წრის მნიშვნელობა და მომავლისობით შესაძლებელი მისი ფარგლები.

როგორც—ყოველივე ჩვენს საზოგადო ეროვნულ დაწესებულებას და, საერთოდ, ყოველგვარ ქართულ საზოგადოებრივ საქმეს, ზემო აღნიშნულ საქმესაც ერთგვარი განსაკუთრებული ელფერი ეძლევა ჩვენი ერის მდგომარეობის და საჭიროა სწორედ ამ ჩვენი მდგომარეობის გათვალისწინება, რომ ღირსეულად აღინიშნოს ამა თუ იმ ქართულ დაწესებულების ღირებულობა და საფასური.

მაშ შევეხოთ ჯერ ამ საკითხს და და ერთგვარის მიუდგომლობით გამოვარკვიოთ ჩვენი ერის მდგომარეობა და მისი განსაკუთრებული პირობები:

——

წარსულ საუკუნის რიჟრაჟზე—საბოლოოდ გადაწყდა „ბედი ქართლისა“...

საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება; იგი შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს და თვალუწვდენელ იმპერიის პროვინციად გარდაიქცა.

საუკუნოებით ბრძოლაში მოპოვებული საქართველოს თავისუფალი ეკლესია რუსეთის „საეგზარხატოდ“ შეიცვალა. პოლიტიკურად უფლება ახდილს ერს ჩამოერთვა ყოველივე, რასაც კი ეროვნულ თვითმოქმედების ნატამალი-ღა ეტყობოდა—და, გასაკვირველიც არ არის, რომ ამის შემდგომ, ქართველ ერის პოლიტიკური და ეროვნული მაჯის ცემაც სრულიად შესწყდა და გაითოშა.

გარეშე მტერთა დაუსრულებელის მოგერებით და შინაურის უწესრიგობით დიქანცულ და ძალა მიხდილ საქართველოს—სანუგეშებლად მხოლოდ ისღა დარჩა, რომ ძლევამოსილმა რუსის იარაღმა ასე თუ ისე აღადგინა მაინც საქართველოს ისტორიული საზღვრები და დაამკვიდრა მასში ერთგვარი მშვიდობიანობა.

მაგრამ „ბედი ქართლისა“ რომ გადასწყდა, ჩვენი ცხოვრების უკუღმართობასა და ტრაგიზმს სარჩულად დაედვა ის უაღრესი უთანხმოება, რომელიც არსებობდა პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქართველ ერის დაქვეითებულ და ჩამორჩენილ სოციალეკონომიურ შემადგენლობასა და ახლად შემოჭრილს პოლიტიკურად განვითარებულ იმპერიის მისწრაფებათა შორის...

მე-XVIII საუკუნის მიწურულებიდან დღევანდლამდე მოყოლებით—ქართველი ერი მთელ თავის ძალღონეს ამ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტთა შეგუებას ანდომებს.

და ეს უაღრესი უთანხმოება, მთელ თავის სიღრმე-სიგანით, პირველად მხოლოდ მესამოცე წლებში იგრძნო ჩვენმა ინტელიგენციამ.

ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ძლევა-მოსილი რუსეთის მხედრობის წინაშე ქედს იხრის და ნებდება უკანასკნელი მთის არწივი—შამილი. რუსეთი საბოლოოდ და სავსებით მკვიდრდება კავკასიაში და საქართველოს მისიასაც უკანასკნელი წერტილი ესმევა.

ამის შემდგომ, ქართველთა ერმა დაჰკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა და (ასე ვსთქვათ) იგი ტირაჟში გამოვიდა.

ამ მხრივ, სომეხთა ერის პოლიტიკური მნიშვნელობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა: იმპერიის პოლიტიკურ სფეროში დღესაც არ დაკარგვია მას თავისი ელფერი და ერთგვარი მნიშვნელობა.

მხედველობაში თუ არ მივიღებთ 1832 წელს საქართველოში მომხდარ შეთქმულობას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარსულ საუკუნის პირველ ნახევრამდე—ასე თუ ისე მწყობრად და შეთანხმებულად მიმდინარეობდა იმ დროინდელ ქართველ საზოგადოების პოლიტიკური აზროვნება და ჩვენში დამკვიდრებული რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოქმედება და საქმიანობა.

„ახალი პერიოდი ქართულ ლიტერატურისა—დასძენს პრ. ხახანაშვილი—იმ დროს იწყება, როდესაც მთიელებთან ომი გათავდა. 1861 წელს თავადი ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ „ცისკარში“ იღებს ხელში ჰუმანიზმის დროშას და აარსებს თანამოაზრეთა წრეს, რომელშიაც შედიოდენ საუკეთესო წარმომადგენელნი მაშინდელის ახალგაზრდობისას.

1863 წელს ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ამ წრემ გამოსცა „საქართველოს მოამბე“. პეტროგრადის ქართველი სტუდენტობა აღტაცებით მიეგება ახალ ჟურნალს.

კირილე ლორთქიფანიძემ, მესამე კურსის სტუდენტმა და გ. წერეთელმა, პირველი კურსის სტუდენტმა გამოუგზავნეს ჟურნალს თავისი პირველი ნაწერები, „საქრ. მოამბე“ გამოვიდა მებრძოლეთ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ.

აი, მაგალითად, როგორ ახასიათებს არჩილ ჯორჯაძე მესამოცე წლების მოღვაწეთა მოქმედებას.

„როგორც ვიცით. მესამოცე წლების მოღვაწეთ სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისათანავე ძველ თაობასთან შეტაკება მოუხდათ. გაჩაღდა ბრძოლა „მამათა“ და „შვილთა“ შორის. წინასწარმეტყველობა არ იყო საჭირო, თუ ვის დარჩებოდა ამ ბრძოლაში გამარჯვება. მართლაც ახალმა თაობამ გაიმარჯვა, რადგანაც ძველი სოციალური წესი დაირღვა და ახალი დამყარდა. მაგრამ... (განაგრძობს იგივე ავტორი) მიდის დრო. ახალი თაობა ნელ-ნელა ხანში შედის და მისი იდეალები ნახევრად განუხორციელნი დარჩნენ...

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ინტელიგენცია, უმეტესად თავად-აზნაურობისაგან შემდგარი, დაშორებული იყო ხალხზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინტელიგენციას აღფრთოვანებდა საუკეთესო იდეალები. მაგრამ იდეალი და მისწრაფება მოღვაწეების თითქოს ერთს წრეში ტრიალებდა, მოღვაწეების სოციალური მდგომარეობა კი სხვა წრეში იმყოფებოდა. და აღმოჩნდა წინააღმდეგობა იდეალისა და სინამდვილისა, აღმოჩნდა, რომ საქართველო, როგორც წოდებრივ წყობილების ქვეყანა, ასე ადვილად ვერ გამთელდება და ვერ დაივიწყებს თავის შინაურულ მოუწყობლობას, რომლის მოწესრიგებისათვის თავად-აზნაურულ ინტელიგენციას ძალა არ შესწევდა“.

მართლაც და—მესამოცე წლების მოღვაწეთა სულისკვეთებას რომანტიზმის ელფერი ედვა. „ქართლის ბედის“ უკუღმართობამ ვერ ჩაკლა სამუდამოდ და სავსებით ვერ გააქარწყლა მრავალ საუკუნეთა მსვლელობაში ჩამოყალიბებული ქართველთა ეროვნულ სახის გამომეტყველება. მესამოცე წლების მოღვაწეებმა იგრძნეს „ქართლის ბედის“ სიმახინჯე, მაგრამ აწმყო მათ ვერას ეტყოდა, რადგანაც „ვიო მკვდართა ძილის სიჩუმე სუფევდა ირგვლივ“ და ტანჯულ ქართველის მიძინებული სხეული, მხოლოდ ამცნობდა თავის მესაიდუმლეებს, რომ იგი ჯერ არ მომკვდარა. ქართველთა ეროვნული სხეული, ამ ხანაში, საშინელ გახრწნის პროცესს განიცდიდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ დროს, ქართველობამ დაჰკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა, რის გამო უფრო გაბედული და მკაცრი სახე მიიღო საქართველოში დამკვიდრებულმა რუსეთის პოლიტიკამ. ამავე დროს მოხდა რუსეთში და აგრეთვე ჩვენშიაც ბატონყმობის გადავარდნა, რამაც დააჩქარა და გაართულა ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიური გახრწნის პროცესი.

საქართველოს ტრაღიზმი და მისი მოუმზადებლობა იმაშიაც გამოიხატებოდა და ახლაც იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკურად დაქუცმაცებულმა ფეოდალურ საქართველოს ორგანიზმმა ვერ შექმნა საჭირო ფაქტორები და აუცილებელი პირობები, ეგრედ წოდებულ, ქართულ მესამე წოდების წარმოსაშობათ.

სომეხთა ერს ამაშიაც უპირატესობა ეკუთვნის ქართველ ერის მდგომარეობასთან შედარებით. სომხითმა გაცილებით უფრო ადრე დაჰკარგა პოლიტიკური თავისუფლება. დესპოტიურ სახელმწიფოში დამონებულ ერს თითქმის მთლად გაუწყდა ფეოდალური არისტოკრატია და მრავალ საუკუნოებით ბრძოლასა და მონურ ტანჯვაში გატარებულმა ერმა შექმნა ეროვნულ გრძნობით გამსჭვალული კაპიტალი და ეროვნულ განვითარების მებაირახტრე სომეხთა მესამე წოდება, ე. ი. ბურჟუაზია.

ერთის სიტყვით, მესამოცე წლებში, საქართველოს სხეულის უკიდურესს გახრწნის დროს, ჩვენში იღვიძებს ეროვნულ სულის თვითცნობიერება, მაგრამ გაღვიძებულ ქართველის აზრი ნიადაგს ვერ ჰპოულობს აწმყოს სინამდვილეში და მთელ თავის ძალასა და ყურადღებას იგი აპყრობს წარსულის რომანტიულ განსპეტაკებას.

საქართველოს „სულსა“ და „სხეულს“ შორის ჩნდება შესაზარი უფსკრული.

ასეთია—ახალ საქართველოს შობისა და აღორძინების დასაწყისი.

**გიორგი მამრაძე.**

(შემდეგი იქნება)

*) წაკითხული გიორგი მამრაძის მიერ 6 მარტს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ჩვეულებრივ კრებაზედ.

როდ სცნო, იმის შენახვას სავსებით საზოგადოება იკისრებს. 5) განიხილა და დაამტკიცა წარსული წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. საზოგადოებას შემოსავალი ჰქონია 14,647 მან. და 65 კაპ., გასავალი 14,259 მან. და 39 კაპ., გადარჩენილია 388 მან. და 26 კაპ.

**სასახლეში** პოლკოვნიკმა ესაძემ მათი უმაღლესობის მეფის ნაცვლის დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის და მათ უმაღლესობის ოჯახობის და სასახლის ამალის თანდასწრებით ბუნდოვანი სურათები დასდგა აზრუმის აღების და მეფის ნაცვლის თბილისში მოსვლის დროს გადაღებული.

**ქართველი მსახიობი ი. ჟივიძე** სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

**მშობელთა წრის კრება.** დღეს, 13 მარტს, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის მშობელთა წრის კრება.

**წამლების უქონლობა.** წითელ ჯვრის გამგეობამ უარი შეუთვალა განჯის გუბერნატორს წამლების მიღებაზე ქალაქთა კავშირისაგან იქაურ წითელ ჯვრის ლაზარეთებისთვის, ვინაიდან თვით ქალაქთა კავშირი საჭიროებს წამლებს.

**ომში წაყვანილთა ოჯახთა დასახმარებლად** თბილისის გუბერნატორის განკარგულებით სახაზინო პალატამ 30,000 მანეთის სესხი მისცა საქალაქო ცენტრალურ კომიტეტს ამ საქმისთვის.

**მღვდელზე თავდასხმა.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ სიღნაღიდან სოფ. ბოდბეში უცნობი პირნი შესცვივნიან ადგილობრივ მღვდელს ა. ბადაშვილს და სროლა დაუწყვიათ. მღვდელს სროლითვე გაუცია პასუხი, რის შემდეგ უცნობნი გაქცეულან.

**ქალაქის არჩევნები.** დღეს „კრუჟოკის“ დარბაზში ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია წინასწარი კრება ამომრჩეველთა, ეგრეთ წოდებულ პროგრესისტთა ჯგუფისა მეორე და მესამე საპოლიციო უბნებიდან.

**დღეს** საბჭოს დარბაზში დილის 11 საათზე დანიშნულია წინასწარი კრება მე-4-ე და მე-5-ე საპოლ. უბნის ეგრედ წოდებულ „ახალ საბჭოს“ ჯგუფისა. (შესვლა ველიამინოვის ქუჩით).

**ქალაქთა კავშირის** მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის დროს გადასწყდა, რომ კავშირის ლაზარეთის სადოსტაქრო განყოფილებაში 1 ლოგინის შესანახად თვიურად გადაიდვას 28 მ. 20 კ., ხოლო გადამდებ სნეულებათა გაყოფილებაში 1 საწოლისავე შესანახად 33 მ. 20 კაპ.

**ანგარიშის შედგენა.** თბილისის ქალაქის გამგეობამ დაავალა ბ-ნ კ. ფირცხალაიშვილს შეადგინოს ანგარიში ქალაქის თვითმართველობის სასურსათო ოპერაციისა ომის დაწყებიდან დღევანდლამდე.

**მოწოდება სახელმწიფო სესხზე.** მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ კავკასიის მცხოვრებთა მიმართ ცალკე მოწოდება გამოსცა ორ მილიარდიან სესხზე, რომელსაც მთავრობა აპირებს აღებას. ამ მოწოდებაში მეფის ნაცვალი აღნიშნავს, რომ ეს შინაგანი და არა გარეშე სესხი რუსეთისთვის საგრძნობლად ხელსაყრელია. სესხის პირობანი ხელის მომწერთათვის სასარგებლოა, ვინაიდან სარგებელს $5^{1}/_{3}$% მოუტანს შეტანილ თანხაზე და სხვა საგრძნობ შეღავათებსაც იძლევა. ხელის მოწერა იწყება 15 მარტიდან—22 აპრილამდე სახელმწიფო ბანკების ყველა დაწესებულებაში, ხაზინებში, ქალაქის ბანკებში, კერძო ბანკებში ხოლო სახელმწიფო შემნახველ კასებში წვრილ კრედიტებში და საველე ხაზინებში 15 მარტიდან—30 მაისამდე

**შემოიტანეს** თბილისში 11 მარტს: ფქვილი 68 ვაგ., მარილი 1 ვაგ., მაკარონი 4 ვაგ., შაშა 1 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგ., ნავთი 5 ვაგ., ღვინო 1 ვაგონი, ქატო 5 ვაგ., დამარილებული ხორცი 3 ვაგონი.

**მოხევეთა თხოვნა.** თბილისში ჩამოვიდა მოხევეთა წარმომადგენელი ბ. კაიშაური, რომელიც მეფის ნაცვლის წინაშე შუამდგომლობს რათა ნება მიეცეთ კაიშაურის ხეობის მცხოვრებ-მოხევეთ კავკავიდან საქართველოს სამხედრო გზით ფქვილის შემოტანისა. ბატონ კაიშაურმა ინახულა სასურსათო საქმის მთავარი გამგე ბ-ნი შაშკოვსკი და აუხსნა საქმის გარემოება, თუ როგორ დაიხურა ეს გზა ქართულ ურმების სამოძრაოდ ეს 10 წელიწადია. ბ. შაშკოვსკიმ აღუთქვა ამ საქმის მოწესრიგება და დახმარება.

**მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე“.** ქართლის მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“, „მეურნეს“ შეუერთდა. უკანასკნელი დღეს ჩაიბარებს „ქართლის“ საქონელსა და ქონებას და 15 ამა თვიდან თავისს ვაჭრობას გახსნის „ქართლის“ ეხლანდელ სადგომში. „მეურნეს“ გამგეობამ მაღაზიის მართველად მიიწვია სოსო ბარათაშვილი. სამეურნეო ბანკს უკვე კრედიტი გაუხსნია „მეურნესათვის“. ხარფუხის კლუბის წევრები, 300 კაცი, წევრებად ეწერებიან „მეურნეში“ იმ წესით, რა წესითაც „ახალი კლუბის“ წევრები ჩაეწერნენ. აგრეთვე განზრახვაა „ახალი კლუბის“ მუდმივი მოსიარულენიც ჩასწერონ „მეურნეში“ ამხანაგებად.







**ხახვის მოყვანა.** ამ ბოლო დროს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხახვის მოყვანას, რომელიც ჯარებისთვის არის საჭირო კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ტიმოფეევი და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მდივანი ბ-ნი ვ. რცხილაძე ურთი-ერთ შორის მორიგდნენ ხახვის თესლის შეძენის შესახებ. მიწადმოქმედების უწყება ფულს იძლევა თესლის შესაძენად, ხოლო სამეურნეო საზოგადოებამ უნდა იპოვნოს გასასყიდი თესლი და შეიძინოს იგი. რამდენ ხახვსაც მოიყვანს საზოგადოება თავისს მამულში, მთავრობა განსაზღვრულ ფასებში შეისყიდის. აღნიშნულმა სამეურნეო საზოგადოებამ უკვე შეიძინა ნახევარ ფუთამდე ხახვის თესლი და, როგორც ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, იგი აპირებს თავისს იყალთოსა საგარეჯოსა და საგურამოს მამულებში დათესვას. რაღა თქმა უნდა კერძო პირთაგანაც შეიძენს მთავრობა ხახვს და კარგ ფასსაც მისცემს, მხოლოდ საჭიროა ჩვენმა სოფლელებმა ბლომად მოიყვანონ იგი.

**საომარი წესები** თანახმად მეფის ნაცვლის მიერ მიღებულ უმაღლეს ბრძანებისა დატოვებულ იქმნა მიმდინარე წლის 4 ენკენისთვემდე.

**მეფის ნაცვლის** კანცელარიამ ნება დართო ვ. ქამუშაძეს შავი ქვის მადნის იჯარით აღებისა სოფ. მღვიმევში, შორაპნის მაზრა.

**სამოსწავლო ოლქის უფროსი** ნ. ფ. რუდოლფი პეტროგრადს გაემგზავრა, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ოლქის მზრუნველების ყრილობაში. მის თანამდებობის ასრულებას შეუდგა მეფის ნაცვლის ნებართვით საოლქო ინსპექტორი ა. ი. სლოვინსკი.

**საყურადღებო განკარგულება.** სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის უმაღლესმა უფროსმა ოლდენბურგის პრინცმა ალექსანდრემ ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით აღნიშნულ დაწესებულების მოსამსახურენი ვალდებული არიან ნახმარი შესახვევი მასალები, როგორც მაგალითად, ყოველ გვარი ბამბა, ბინტი, და სხვ. არ გადაჭყარონ, არამედ თავი მოუყარონ, დეზინფექცია გაუკეთონ და შეინახონ მაგრად თავდაცულ ყუთებში. ეს მასალა შემდეგ გაეგზავნება სხვა და სხვა საავადმყოფოებს, სასანიტარო მატარებლებს და სახაზინო თოფის წამლის ქარხნებს. ბრძანების შესრულებას თვალყური უნდა ადევნონ დაწესებულებათა უფროსებმა.

**სოფ. ასურეთი** (თბ. მაზრა).

— ეს სოფელი გერმანელების ახალშენია, დაარსებული 1818 წელს რუსის დედოფალ ელისაბედის დროს და დღემდის მისი სახელწოდება იყო „ელისაბედკა“, მაგრამ მთავრობის განკარგულებით მდგომარე წლის 1 იანვრიდან მას ეწოდა ასურეთი, პატარა მდინარის სახელი, რომელიც ჩამოდის სოფლის ბოლოზე. ამ რამდენიმე დღის წინად აქ მცხოვრებ გერმანელებს გამოეცხადათ, უნდა დასტოვოთ ეს სოფელი და გადასახლდეთო. გადასახლებისათვის 8 თვის ვადა მისცეს.

— აქ არსებობს მომხმარებელი ამხანაგობა „ნდობა“. ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონია 75,000 მანეთის წარმოება. ამ ერთ წელიწადში ყველა წევრებს მოგებიდან შეხვედრიათ 2,750 მანეთი.

**ალგეთი.**

აქ არავითარი გასართობები და დაწესებულებები არ არსებობს. არის მხოლოდ ერთი კინემატოგრაფი „ლირა“ სადაც კვირაში ორჯერ აჩვენებენ სურათებს. სურათები ყოველთვის ომის ამბებიდან არის და მეტად გადაჭარბებული, რომ ამით ჯარისკაცები სულით გაამხნეონ.

— როგორც სხვა დაბა-ქალაქებშია, აქაური ვაჭრების თავგასულობასაც საზღვარი არა აქვს. სანოვაგე და სხვა საჭირო ნივთები შედარებით სხვა ქალაქებზე ერთი სამად იყიდება.

— აქაურ სამხედრო საავადმყოფოში დღე არ გავა ისე, რომ ორი-სამი ქართველი ჯარისკაცი არ მოკვდეს. როგორც გამოირკვა 1915 წლის აგვისტოს თვიდან წუთისოფელს გამოსალმებია სულ 800 ქართველი ჯარისკაცი, რომელნიც აქვე საძმო სასაფლაოში დაუსაფლავებიათ. საავადმყოფო მეტად მოუწყობელია და მომვლელებიც ნაკლებათ იწუხებენ თავს. მომვლელი ქალები აქ სულ არ არიან. არის მხოლოდ სამი-ოთხი „ფერშალი“ და ალახმა უწყის როგორი ცოდნით. თბილ ადგილებში მცხოვრებნი ქართველი ახალგაზდები აქაურ ცივ ჰავასა და სუსხს ვერ უძლებენ ავად ხდებიან და საავადმყოფოში თუ მოხვდნენ ძვირად თუ გამოვლენ იქიდან ცოცხალი. საჭირო არის, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და საავადმყოფო დროზე მოეწყოს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, თორემ ბევრი კიდევ სიცოცხლით სავსე ახალგაზდა გამოეთხოვება თავის საყვარელ მიწაწყალს.

— დ. თეთრ-წყაროში ამ ჟამად ცუდი ამინდები სდგას. ყოველ დღე გამუდმებით წვიმს. აქა-იქ თოვლიც ძევს. ქუჩები ატალახდა და გავლა მეტად სჭირს.

— აქ არსებობს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, მაგრამ ამ სასწავლებელში ქართული ენა განდევნილია. ქართველმა მოწაფეებმა ქართული წერა-კითხვის არა იციან რა და ისიც ვერ გამოურკვევიათ ქართულ ენაზე შეიძლება წერა-კითხვა თუ არა?

— აქ გამომცხვარი პურის შოვნა მეტად სჭირს. ვაჭრებს ფქვილი უკვე გამოელიათ. პური 21 კაპ. ფასობს.

# რა ხდება სპარსეთში

(დასასრული)

IV

ვიდრე გენერალი ბარათოვი ქამადანის რაიონში ახდენდა სადემონსტრაციო მანევრებს მთავარ ოპერაციის დასაწყებად, ოსმალთ შიში არაფრისა ჰქონიათ და მის შემოტევას სერიოზულ ხასიათისად არ სთვლიდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქამადანი დაეცა, ოსმალნი არა თუ შეფიქრიანდნენ, როგორც ეს შეჰფერის ფატალიზმის მოტრფიალე ხალხს, შეშინდნენ კიდეც და ცივი ტაქტის დაჭერის ნაცვლად სულ აირივნენ. ქამადანის აღების შემდეგ მათთვის ნათელი შეიქმნა, რომ საქმე სახუმარო არა არის რა. უკვე ბარათოვის შემდეგი მოქმედებიდან გამოერკვივნენ, რომ განზრახვა ბარათოვისა უფრო ღრმა და სერიოზულია, ვიდრე დემონსტრაცია, ისე სანავარდოდ ანუ შესაშინებლად წამოსვლა, არა, ეხლა ბარათოვმა ქერმანშაჰიც ამოიღო ნიშანში, აქეთ გამოჰკრა დეზი და ეს კი თავდები იყო იმისა, რომ ბარათოვი თანამედროვე პატარა ალექსანდრეს როლშია გამოსული, რომელსაც მართალია, გრანდიოზული გეგმა არა აქვს მსოფლიო დაპყრობისა, მაგრამ მით მაინც მისი გეგმა ჰგულისხმობს ისეთს პუნქტებს, რომელთა აღება მას აზიის გმირის ძეგლს დაუდგავს სამარადისოდ: ეს გახლავთ ერთის მხრით ბაღდადის გზის მოჭრა, დამუქრება ეფრატის მხარეს, რომ ინგლისის მხედრობის დამარცხებული და კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილი გენერალი ელმერი განსაცდელისგან ეხსნა, შემოეერთებინა მისი ნაშთნი და შემდეგ ერთად ემოქმედნათ. ამ შორეულ მიზნების განხორციელებამდე მას ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი, ბევრი რამ გააკეთა, მართალია, ჯერ კიდევ ბევრი მრჩება გასაკეთებელი, მაგრამ ის რაც ჯერჯერობით გაკეთებულია, ფრიად მნიშვნელოვანია და, მაშასადამე, აღსანიშნავი.

ქამადანიდან, როგორც ვსთქვით, ბარათოვმა ქერმანშაჰი ამოიღო ნიშანში. ოსმალებმა ბაღდადიდან დაიწყეს მაშველი ჯარების მოყვანა. მოსულიდანაც (იხ. რუქა № 2) რამდენიმე პოლკი მოიშველეს. ამასობაში ბარათოვმა გაიარა კენგავესის უღელტეხილი და პირდაპირ ქერმანშაჰს დაემუქრნენ.

კავკასიის შტაბი უმალვე მიხვდა თუ რა საფრთხე მოელოდა გენერალ ბარათოვს თუ მოსულიდან მართლა ოსმალნი მიაშველებდნენ ჯარებს. ამიტომ ენერგიულად შეუდგა ფართო დემონსტრაციებით ეს ჯარები შეეჩერებინა. კავკასიის ჯარებს გენერალ იუდენიჩის ხელმძღვანელობით ებრძანათ მუშ-ბითლისით შეეტიათ (იხ. რუკა № 1) და მოსულისკენ წასულიყვნენ, რომ შემდეგ სინაზე მოევლოთ და ქერმანშაჰისკენ მიმავალ ბარათოვისთვის ზურგი გაემაგრებინათ.

გონივრულმა გეგმამ დიდი ნაყოფი მოიტანა. ოსმალთა შტაბი საგონებელში ჩავარდა. ესმოდა საქმის სირთულე, მაგრამ უნებურად ძალთა დანაწილება უხდებოდა იმ დროს, როდესაც რუსთა ძალები ერთდებოდა. მოსულიდან ტიგროსის ღელეზე ორი პოლკი ბაღდადის რკინის გზის დასაცავად დააყენა, რომ მუშ-ბითლისით მომავალ ჯარებისთვის პასუხი გაეცათ, ქერმანშაჰისკენ კი იგივე ძალები დარჩნენ, ასე რომ გენერალ ბარათოვს ეხლა გვერდიდან მოვლისა აღარ ეშინოდა, მას მარტო შუბლით მდგარ მტერთან ჰქონდა საქმე, რომელიც ასე თამამად გაარღვია და როგორც ოფიციალ ბილიუტენებიდან გვეხსომება 26 თებერვალს აიღეს იგი და დღეს ხომ კარგად დაშორდნენ კიდეც ამ ძლიერს პუნქტს, 40 ვერსის დაშორებით ხელთ იგდეს არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტი ქერინდა.[1] ჩვენ არ ვიცით, რა ძალები ჰყავს გოლც-ფაშას ბაღდადსა და მესოპოტამიაში, არ ვიცით, მთავარი მისი ძალები გატყდა, თუ ისევ შენახული ჰყავს, ეს-კი აშკარაა, რომ ფაქტები ჯერ რუსთა გამარჯვებას ღაღადებს. მინდობილი საქმე უკედ შესრულებულ იქმნა გენერალ ბარათოვის მიერ, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ქერმანშაჰის უკანასკნელი ოპერაცია ბრწყინვალე გამარჯვებაა, არა მარტო იმიტომ, რომ იგი თვალსაჩინო ბაზა იყო ოსმალთა ჯარებისა, არამედ იმიტომ უფრო, რომ იგი სტრატეგიული კარია ხანიქინისკენ შესასვლელად. იგივე ოპერაცია სულს ათქმევინებს გენერალ ელმერს. როგორც ვიცით ჯერ კიდევ გასულ წელს ინგლისელთა საექსპედიციო ჯარები მესოპოტამიაში მოჰყვნენ ოპერაციის დაწყებას ოსმალთა ჯარების როგორც დასაბანდებლად, ისე ასარევ-დასარევად. ოსმალნი მათ დიდ ანგარიშს არ უწევდნენ, რადგანაც სრულიად თავისუფლად რამდენჯერმე დიდი მარცხი განაცდევინეს მათ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბარათოვის მხედრობა გამოჩნდა სპარსეთში ქერმანშაჰის რაიონში, ინგლისელებმაც გული მოიცეს და თავისი მხრით მოინდომეს ბაღდადს დამუქრებოდნენ. მართალია, ცდამ ჯერ-ჯერობით უნაყოფოდ ჩაუარათ და კუტელ-ამარასთან სასტიკი მარცხიც განიცადეს, მაგრამ ტაქტიკურად, რაკიღა სრული განადგურება თავიდან აიცილეს, შეუძლიათ დიდი დახმარება აღმოუჩინონ ბარათოვს ოპერაციის დამთავრებაში, თუ, რასაკვირველია, იგი არ დაახანებს. შეერთება ინგლისელებისა გენერალ ბარათოვის ჯარებთან სასწაულის თანასწორი იქნება და სასწაული იგი დიადს ნაყოფს გამოიღებს ა) რომ მათ ხელში ჩაუვარდებათ ბაღდადის რკინის გზა, რომელიც მეტად ძვირად დაუჯდათ გერმანელებს და ბ) რაც უმთავრესია, გერმანელთა პრესტიჟი აზიაში სავსებით დაეცემა და, მაშასადამე, იმედი, რომ ენვერ-ფაშისა და ვილჰელმის აგიტატორები როდესმე მაინც სამაჰმადიანო ქვეყნებს ფეხზე დააყენებენ, ამაოდ ჩაუთვლით, ოცნებად, თუნდაც ამისთვის ათასჯერ მექა-მედინა მოიარონ და ღვდელმსახურება საკუთარ ხელით შეასრულონ.

დიდმნიშვნელოვანია სპარსეთის ოპერაცია, მაგრამ იმავე დროს მნიშვნელობის თანახმად ფრიად სახიფათოც. მაშასადამე, მარცხიც, თუ კი მოყვა რუს მხედრობას, სასტიკი იქნება, აუნაზღაურებელი.

X.

[1] გუშინ წინდელ დეპეშამ გვაცნობა, რომ უფრო შორსაც წასულან და ისპაჰანიც აუღიათ.

# ნოველები

## ელი და ლელი

* * *

... შემთხვევით გაიცნეს ერთმანეთი. არ მოელოდნენ. შემდეგ კი განუყრელი მეგობრები გახდნენ. უყვარდათ საზოგადოებიდან ლტოლვა, ეს იმ საზოგადოებიდან, რომელიც ფრიად მოხუცია გაიგოს ნორჩ სულთა მისწრაფება და უსაქმურობისა გამო დედაბრულ ჭორიკანობის მეტს არას აკეთებს. მათი საყვარელი საზოგადოება ბუნება იყო, კეკლუცი ყვავილები, მინდვრის ფრინველნი, ნაკადული თუ ვერხვთა შრიალა ხეივანი. ელი მშვლის ნუკრებს შეეთვისა, მათთან დახტოდა. ლელის კი სალამური გამოეჭრა და ენდიმიონის ხმატკბილობით სულის დაიას უცნაურს მელოდიებს ურაკრავებდა.

— აბა, გამახარე, გაიქეც იმ ბუჩქამდე, გამოგიდგები... ეცადე, არ დაგიჭირო.

ელიც ფარვანას ფრთასავით აალიფლიფებდა გამჭვირვალ ლეჩაქის ყურს, დაიფრთხრიალებდა და, მიკისკისებდა ნავარდობით. ლელიც მისდევდა, მაგრამ ფრთანაცქვეტ მერცხალს სად დასწვდებოდა?

— ელი, ელი...

გასძახებდა, როდესაც ცქრიალა კარგა მანძილზე ჰშორდებოდა, ისიც ტოროლასებურ ზარით აკისკისებული პირს იბრუნებდა. ლელი აღტაცებით ხელს გაჰშლიდა და რა ჩაიკრავდა გულში ნაზს საყვედრებელს, ნარნარ კოცნას დააწვიმებდა.

— კიდევ, ოჰ, კიდევ...

ეტყოდა ნეტარებით დამთვრალი ელი.

— კარგი, გეყოფა, ნუ სულელობ, ხომ იცი, რომ...

ელის გაახსენდებოდა ვინაობა, მოვალეობა ოჯახისა და კაეშანი ეშლებოდა. შავი კვნესა შავ ბედის ყივილით სიმღერას სიმღერაზე ჩაასმენდა, რომ ისინი მაინც ერთმანეთს არ ეკუთვნოდნენ, დამცინავმა ბედმა ისურვა მათი დაახლოვებაც და ასე შორი-შორს გადატყორცნაც, ამიტომ ტრისტანე და იზოლდის სიყვარულით უნდა დამდნარიყვნენ და ბასრი მახვილი შუა სჭეროდათ თვით ზურმუხტის სარეცელზე, რომ ხორცის შეხებას მათი სულის უმანკო სამეფო არ შეებღალნა.

* * *

... მთაზე მირბოდნენ. ყვავილები საიდუმლო ჰიმნთა გალობით შეჰხაროდნენ, გზა-გზა თავის ქნევით ესალმებოდნენ. ყველა ჰხარობდა მათს სტუმრობას. ელი ცქრიალით დარბოდა, ლელი კი ჰაეროვანი სახით მიმოჰფრენდა, ფეხს არ ადგავდა ყვავილებსა, ეშინოდა, არ გაესრისნა, რადგანაც თვითეული მათგანი ელის ღვთაებრივ სახით ეცხადებოდა.

— რად მიხვალ შორს?

შეეკითხა ლელი, როდესაც ელი თავდავიწყებამ გაიტაცა და მაღლამაღლა ყურებით ვერც კი შეჰნიშნა რაოდენად დაჰშორდნენ ძირს კორდს.

— რაღასაც დავეძებ... რას, მეც არ ვიცი... მაგრამ ეს ხომ სულ ერთი არის... მომყე ლელი, მომყე, გენაცვა. .

— ფრთხილად, მანდ უფსკრულია...

— მით უკეთესი, ჩემო ლელი. უფსკრულის საიდუმლოს ზიარება თვით ღმერთის პოვნის თანასწორია. მის სარკის მზერაში ვჭვრეტთ მარადისობის მრავალფეროვან მშვენიერებას, ძრწუნების სამეუფეო აქ გვიღებს შავი სფინქსის მზიურ კოშკს, როგორც მადონას საიდუმლო სამყოფელსა სადაც რომ ჰხდება ხარების თვალწარმტაცი სასწაულმოქმედება. მომყევი, ლელი, მომყე... გეშინიან?

— ელი, ოჰ, ელი...

* * *

... უფსკრულის პირს ჩამოსხდნენ. ლელიმ მიისვენა მისი შავ ნაწნავებით შემოფარგლული ოდნავ შევერცხლილი ლამაზი თავი. უმანკოს ნარნარება დაჰხაროდა მის მშველისებურს ჟუჟუნა თვალებს.

— აბა, სთქვი რამე, სთქვი... მიყვარს, როდესაც ლამაზ ზღაპრებს მომითხრობენ.

— შენ თვითონვე სთქვი.

— არა, ლელი, შენი ზღაპრები თილისმაა. ჰო, როგორ იყო, ის ვინ იყო? ხელმწიფის შვილი? დაიცა, რა სთქვი... „მან დაჰკარგა თავის საბედო“... მერე?!...

— ჩვეულებრივი ამბავია, როგორც ყოველი ზღაპარი: დაჰკარგა და ძებნას შეუდგა. ბევრი იარა, ბევრი, მთელი ქვეყნიერება შესძრა, მოუხმო ჯადოსნებს, ათას მკითხავს, მარჩიელთ, რომ ჩრდილი მაინც გამოეწვიათ მისი საყვარელი არსებისა, მაგრამ ვერვინ ვერ უშველა. ქარვა—გიშერი ამაოდ აავზნეს ანდამატით, ამაოდ

დასწვეს სუნნელ ყვავილთა კონები გალაქლაქებულ თვალ-მარგალიტისა და იაგუნდის ნაკვერჩხალზე, ამაოდ მიმოჰხაზავდნენ თეთრი მტრედის სისხლით ავგაროზებსა, ამაოდ ჰბუმბლავდნენ თეთრ ფარშევანგს და თეთრ არწივებს, ამაოდ ამტვრევდნენ ტბის სარკესა ზღვის ლერწმის ღერით რომ ტალღათა ნაოჰე'იდან ფერიებისთვის მოეხმოთ და საიდუმლო გამოეკითხათ, ამაოდვე დარჩათ შელოცვილ სარკეში ყურება, თვალები სისხლით ევსებოდათ, რომ ასულის ლანდისთვის მხოლოდ ერთხელ მოეკრათ თვალი. ჭაბუკი დნებოდა, მისი ოცნების სამოთხე დაიწვა, სულ მთლად გადახმა, ვერ ნახა მზის ასული, მის აჩრდილის ალერსსაც კი ველარ ელირსა...

— მერე?

— აკვნესდა მისი სულის ობოლი ქნარი, გაიჭრა ველად და...

— და?!..

— ჭექა-ქუხილთან ერთად ჰსვამდა უსაზღვრო თავდავიწყებას.

— აჰ!..

ელის გულის ამონაკვნესი შორით ნიავმა წარიტაცა.

*
* *

...საღამოვდებოდა. მზეს მთელი მშვენიერება შეემოსნა. მარადისობის წიაღიდან შიშველ მიწაზე მოაფრქვევდა ალისფერ ზვირთებს. მთელი მსოფლიო ჯადოსნურს ყვავილს დაამზგავსა, რომლის თვითოეული ფურცელი განთიადის ციმციმითა ჰფეთქს. დაქანებულს კორდზე ყვავილთა ხალიჩა ზმანების ველად გადაჰშალა, სადაც უცხო მწერთა ზუზუნი ღვთაებრივ სიმფონიად გამოისროლა. იქვე ტყე ზურმუხტის თაიგულად გამოიკვალთა, რომელსაც უეცრივ სალმრთო ილიონის ცეცხლი მოედო. მის გვერდით კოშკის ნანგრევთა თავზე წამოზოდილ ჩრდილთა თამაშში საფლავით ალმდგარ ძველ გმირთა აჩრდილებმა დაიწყეს ტრთოლვა. ჰაერი სურნელებით შეზავდა და მათრობელა გუნდრუკად ცათა-ცის გულში აიზიდა უჩინარ ხელის ხელთუქნარი საცეცხლულითა.

სანახაობით გაბრუებული ელი მის გულზე მიხუტებულიყო. ბუნების ზღაპარი მისთვის ყოველ ზღაპრის სიკეკლუცეს აღემატებოდა. ვერც კი შეჰნიშნა თავი როგორ უნებურად ასწია და წყნარად, შეუმჩნევლად აკოცა თავის რაინდს. წუთიც და სრულმა თავდავიწყებამ გაშალა ზმანების ქსელი. მალე მათ უხმო კოცნის მეტი არა ისმოდა რა. ყოველისფერში წყნარის ღელვით მიმოსცურავდნენ, ყოველისფერი დასცურავდა მათს გრძნობის ქსელში.

— ელი, ოჰ, ელი...

— წაიჩურჩულა როდის როდის თავდავიწყებიდან გამოსულმა ლელიმ.

— გამიგონე, ელი, შენ მე... მე შენ...

მაგრამ ელის მისი სიტყვებისა არა ესმოდარა. რაღაც უცნაურის მოლოდინით გაბრუებული როდის როდის შეაჩერდა თვალების ლულვით და ვედრების კილოთი წაიჩურჩულა:

— იყავ ნება შენი, იყავ... აჰა, შენი ვარ...

ლელიმ ხელის კვრით მოიშორა. ორნივ გაქვავდნენ...

*
* *

...მთვარე ამოსცურდა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ისინი მაინც იქვე ისხდნენ, უხმოდ, უძრავად. ღამის მგოსანი შორით-შორს-შორს ნაღვლიან ჰანგებს აკვნესებდა.

— წავიდეთ, ელი, წავიდეთ.

— აჰ!..

— გამოერკვია. ზმანების ნისლი უკუ ჰყარა.

— ლელი, შენ მძულხარ...

— რას ამბობ, ელი?...

— მძულხარ იმიტომ, რომ... გაგიჟებით მიყვარხარ.

ყელზე მოექნა.

— ნუ გამიჯავრდები, გეუბნები, მძულხარ, რადგანაც ასე რიგად მიყვარხარ მეთქი. შენ უნდა იცოდე რად და რისთვის.

ლელი თვალებში ჩააცქერდა.

დ. კ—ძე.

(დასასრული იქნება)

# ვაჭრობა და მრეწველობა

**შავი ქვის გაზიდვა დ. ჭიათურიდან** მატულობს. თებერვლის განმავლობაში 600.000 ფუთამდე გაუტანიათ. შავი ქვა რუსეთში გააქვთ.

—

**გამხმარი აბრეშუმის პარკის ფასი** საინგილოსა და ნუხის მაზრაში მღითი-დღე მატულობს. დღეს პარკის ფასი 115—125 მანეთია.

—

**აბრეშუმის თესლის** შემოტანა საზღვარ-გარეთიდან მეტად გაძნელდა. ჩვენს ქვეყანაში აქამომდე ბლომათ ხმარობდენ თათრულ თესლს „ბალდადურს“—ხრისტოდულიდის ფირმისას. წელს ამ ფირმის თესლი ცოტა შემოვიდა და ისიც, როგორც ამბობენ საიმედო არ არისო. ამ ჟამად ქუთაისში ჩამოსულა რამოდენიმე ფრანგი, რომელთაც ჩამოუტანიათ საუკეთესო ფირმის ფრანგული აბრეშუმის თესლი და კოლოფს 3 მან. 80 კ. ჰყიდიან. მათ ახლავთ გამოცდილი აგრონომი, რომელიც ეცნობა ჩვენი მხარის მდებარეობას და იკვლევს სად რა ჯიშის თუთის ხე იხეირებს.

—

საფრანგეთის მთავრობას, ფრანგული აბრეშუმის თესლის ფირმებისთვის ბაზარის მოპოების მიზნით ამიერ კავკასიაში გამოუგზავნია **ფრანგ მეაბრეშუმეთა კავშირის წარმომადგენლები**, რომელთაც დავალებული აქვთ გააცნონ ჩვენს მეაბრეშუმეებს ფრანგული თესლის უპირატესობები, შედარებით „ბალდადურისა“, რომელსაც ჩვენში ხმარობენ და რომელიც თურმე ხშირად ღალატობს. ამ დღეებში ფრანგი მეაბრეშუმეები ქუთაისში მეაბრეშუმეთა ყრილობას დაესწრებიან.

—

**პრინცესსა [ანტუანეტა მიურატს** ნება დართეს, ლეჩხუმის მაზრიდან ალაგირის და სხ. ქარხნებში შესამოწმებლად 1000 ფუთი ტყვიის მადანი გაიტანოს.

—

კ. ე. ტოკარსკიმ და ი. დ. კალანდაძემ შორაპნის მაზრაში სოფ. „ცივწყაროში“ **ქვა ნახშირის წარმოების დაწყების ნებართვა მიიღეს.**

—

მეფის ნაცვალმა ინჟენერ დ. ჟურდას **ტყვარჩელის ქვა ნახშირის** ექსპლოატაციისთვის დ. ოჩემჩირემდი სახელმწიფო მიწებზედ შარა გზის გაყვანის ნებართვა მისცა.

—

**მ. ე. თაბაგარმა** ნებართვა აიღო სოფელ თაბაგარში, შორაპ. მაზრა, შავი ქვის წარმოების დასაწყებად.

—

მთავრობას აზრად აქვს წარმოებებში **ნავთის ხმარება განსაზღვროს.** ზოგიერთ სამრეწველო დაწესებულებებში იძულებული იქნებიან სხვა საწვავ ნივთიერებაზედ გადავიდნენ. ამის შესახებ პეტროგრადში მუშაობა სწარმოებს.

—

როგორც **ცინდელის ამხ. ბიულეტენიდან** სჩანს მანუფაქტურულ საქონელს ფაბრიკაშივე იტაცებენ. მიაქვთ ყოველივე, არ არჩევენ არც ხარისხს და არც სახეს. ამ ომის დროს შალის კრეპონის ფასი აწეულა 110 პროც; სატინა—დიუშესის—160 პროც; მოწაფეთათვის შალი 180 პროც; ტრიკო—200 პროც; და ზოგი საქონელი კი 450 პროც.

—

საექსპორტო პალატას მთავრობისათვის მოხსენება წარუდგენია, რომელშიდაც ის მთავრობას წინადადებას აძლევს, ამ ომის დროს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ მანქანებზედ, განსაკუთრებით **სამეურნეო იარაღებზედ დაწესებული ბაჟი** შემცირებული იქმნეს, რომ ამით შემსუბუქდეს მეურნეობის მძიმე პირობები, რომელიც მუშა ხელს, და მუშა საქონლის შემცირებით არის გამოწვეული. როგორც ფიქრობენ, მთავრობა ამ პროექტს თანაუგრძნობს.

—

**ფინლიანდიის ბანკის რევიზია** დაიწყო. რევიზიას სეიმის მიერ ამორჩეული პირები ახდენენ. გამოირკვა, რომ ბანკის საქმეები ძლიერ კარგად მიდიოდა, მაგრამ შარშან ბანკს 20 მილიონი მანეთი უზარალნია. ეს თანხა ბანკს დაუკარგავს რუსული მანეთის კურსის დაცემით.

პროფ. ი. ოზეროვისა და ბანკირ დესინის ინიციატივით განზრახულია მოეწყოს რუსეთის **ბანკებისა და საბანკო კანტორების წარმომადგენელთა ყრილობა.** მეთაურები მოწოდებაში სწერენ: ყველა ბანკების გაერთიანება გამოწვეულია საჭიროებით, რათა საერთო ძალით შეუწყოთ ხელი და გავაძლიეროთ ამ ომის დროსაც რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა.

—

მიწადმოქმედების სამინისტრომ ბოსტნეულობის დიდძალი **თესლეულობა მიიღო.** თესლეულობას რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში გზავნიან და ანაწილებენ.

—

**ფოთში ბლომად შემოაქვთ ბოსტნეულობა** ნოვოროსიიდან. ნოვოროსიაში კომბოსტო ფასობს 1 მ. 20 კ., კარტოფილი 70—80 კ., ხახვი—1 მ., მოტანა ძვირი ჯდება.

—

**მატყლის ფასი** რუსეთში მატულობს. ისპანური მატყლი სრულიად აღარ იშოვება. მთავრობამ მატყლზედ ფასი განსაზღვრა 70 მანეთით.

—

**რკინის ფასი** რუსეთში—2 მ.—3 მ.; ჩუგუნის—1 მ. 25 კ., სახურავი რკინის კი—4—5 მან.

—

**სადგილ-მამულო ბანკების** საგირავნო ფურცლები ფასობდა თბილისის სათავ.-აზნ. ბანკის—77 მან.; ქუთაისის—69 მან.

# დაბა-სოფლები

**ლამისყანა,** (ქსნის ხეობა). ამ ორი წლის წინ თ-დ ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის სურვილით, თაოსნობით და მატერიალური შემწეობით გაიხსნა სოფ. ლამისყანაში კოოპერატიული მაღაზია, რომელსაც სულ მოკლე ხანში იჩინა თავი და დაიმსახურა ნდობა ყველა მახლობელ სოფლებისა; ამასვე მოჰყვა აქაურ ჩარჩ-მედუქნეების გაკოტრება, რაც საბოლოვოთ უზრუნველყოფილ ჰქმნის მაღაზიის მომავალს.

ადგილობრივი მღვდელი გიორგი კარბელაშვილი, როგორც ფაქტიური საქმის მწარმოებელი, დიდ ღვაწლს ეწეოდა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

მარტის 6 მოხდა წლიური კრება წევრებისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა თ-დი ს. მ. ჩოლოყაშვილი. კრებამ განიხილა ანგარიში, დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა, ამოირჩია ზოგი ახალი გამგეობის წევრები და სხვა საჭირო პირები, რის შემდეგაც კმაყოფილნი დაიშალნენ, რადგან ანგარიშის მიხედვით, თითო თუმნიანმა პაიმ მოგება მისცა მათ, ყველა ხარჯ გარეთ 19 მანეთი, მასთანვე ერთად კარგი ხარისხის საქონელს და ზომიერ ფასებში აწვდიდა დაარსების დღიდან.

მხურვალე გულით ვუსურვებთ ამ კარგ საქმეს წარმატებას და სხვა სოფლებს-კი მაგალითის აღებას, ურომლისოდ იხრჩებიან ჩარჩ-მედუქნეების კლანჭებში.

მოგვყავს მაღაზიის ანგარიში დაწყების დღიდან ე. ი. 27 მარტის 1914 წლიდანა 1916 წლის 19 იანვრამდე.

**მოქმედების დაწყებამდის ანგარიშების ვითარება ასეთი იყო:**

პ ა ს ს ი ვ ი

| | |
|---|---|
| 1) შესასვლელი გადასახადი | 235 მ. |
| 2) საპაიო (საწევრო) თანხა. | 565 „ |
| ს უ ლ | 800 მ. |

ა ქ ტ ი ვ ი

| | |
|---|---|
| 1) სალარო (კასსა). | 705 მ. 87 კ. |
| 2) ქონება. | 94 „ 13 „ |
| ს უ ლ | 800 მ. — კ. |

II

**საპაიო (საწევრო) თანხის ანგარიში:**

შემოსავალი

| | |
|---|---|
| ვაჭრობის დაწყების დროს იყო | 565 მ. |
| შემდეგ საზოგადოებაში შეტანილი | 20 „ |
| ს უ ლ | 585 მ. |

გ ა ს ა ვ ა ლ ი

| | |
|---|---|
| ვაჭრობის ხანის ბოლოში არის. | 585 მ. |
| | 585 მ. |

III

**საქონლის ანგარიში.**

შემოსავალი

| | |
|---|---|
| ვაჭრობის მთელ ხანაში შემოვიდა საქონელი. | 12549 მ. 98 კ. |
| | 12549 მ. 98 კ. |

გ ა ს ა ვ ა ლ ი

| | |
|---|---|
| ნაღდზე გაყიდული | 10065 მ. 41 კ. |
| ნისიად „ | 429 „ 23 „ |
| საზოგადოების მაღაზიის საჭიროებისთვის დახარჯული. | 157 „ 23 „ |
| საქონელი გაფუჭებულა. | 76 „ — „ |
| მაღაზიის გამგეს გახმობისა, დალევისა და სხვა | 86 „ 26 „ |
| მაღაზიაში საქონელი დარჩა. | 1735 „ 85 „ |
| | 12549 მ. 98 კ. |

IV

**მოგების და ზარალის ანგარიში.**

გაწეულია ხარჯები

| | |
|---|---|
| ბინის ქირა. | 187 მ. 50 კ. |
| გამგეობის წევრს გასამრჯელო. | 102 „ 50 „ |
| ნოქარს ჯამაგირი | 390 „ — „ |
| საქონლის მიტანის ქირა. | 353 „ 48 „ |
| საზოგადოების საქმეებზე წასვლა-წამოსვლა. | 95 „ 60 „ |
| დაწუნებული და გაფუჭებული საქონელი | 76 „ — „ |
| გამგეს მაღაზიისა ანგარიშა გახმობისა და სხ. | 86 „ 26 „ |
| საზოგადოების საჭიროებისთვის დახარჯული საქონელი | 157 „ 23 „ |
| მთელი გასავალი. | 1448 „ 57 „ |
| მაღაზიაში დარჩენილ საქონელზე მოგება | 463 „ 52 „ |
| წმინდა მოგება | 1525 „ 65 „ |
| | 3437 მ. 74 კ. |

**ჩარიცხულია შემოსავალში**

| | |
|---|---|
| საერთო მოგება გაყიდულ საქონლიდგან | 2974 მ. 22 კ. |
| მაღაზიაში დარჩენილ საქონელზე ფასის დამატება | 463 „ 52 „ |
| | 3437 მ. 74 კ. |

V

პ ა ს ს ი ვ ი

| | |
|---|---|
| 1) შესასვლელი გადასახადი | 248 მ. — კ. |
| 2) საპაიო(საწევრო)თანხა | 585 „ — „ |
| 3) წმინდა მოგება | 1525 „ 65 „ |
| | 2358 მ. 65 კ. |

ა ქ ტ ი ვ ი

| | |
|---|---|
| 1) სალარო (კასსა) | 52 მ. 64 კ. |
| 2) საქონელი | 1735 „ 85 „ |
| 3) ქონება | 140 „ 93 „ |
| 4) ნისიები | 429 „ 23 „ |
| | 2358 მ. 65 კ. |

ს.—ნი.

# წერილი რედ. მიმართ

ს. ქვიშხეთში წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისაგან ახლად გახსნილ **დიმიტრი ყიფიანის სახელობის ბიბლიოთეკის გამგე** დიდ მადლობას სწირავს „სახალხო ფურცლის“ და „საქართველოს“ რედაქციებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და უფასოთ გამოუგზავნეს თვისი გაზეთები.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიც მიაქცევენ ასეთს ყურადღებას და მოაწოდებენ თვის გამოცემათ.

უმორჩილესად ვსთხოვთ აგრეთვე კერძო პირთ, ნუ დაიშურებენ და შესწირონ. ზემოხსენებულ ბიბლიოთეკას როგორც ქართული, ისე რუსული წიგნები და ჟურნალები.

მსურველთ თბილისში შეუძლიანთ შემოწირული წიგნები გადასცენ ქართ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ბ. ივანე ავალიშვილს ხოლო სხვა ქალაქებიდან—სადგურ ვარვარინოზე ს. ქვიშხეთის ბიბლიოთეკის სახელზე.

პატივისცემით **ბიბლიოთეკის გამგე**

# ნარევი

**ცხვირის მოკვნეტა.**

პარიზში ამ რამდენიმე თვის წინად მოსამართლეებს ერთი საქმე გაურჩევიათ.

28 წლის ახალგაზრდა ყმაწვილს გალიეს ჰყვარებია კორსეტების მკეთებელი ელენე ლემერი. ქალსაც ჰყვარებია ვაჟი, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ქალს გული ასცრუებია და ვაჟს აღარ შეჰხვედრია. ვაჟს დიდი შრომა დასჭირებია და წერილობით ქალისთვის გამოუთხოვნია: უკანასკნელად პირისპირ შემხვდი მოსალაპარაკებლადაო.

შეჰხვდნენ, მაგრამ ვაჟის ვერც მუდარამ და ვერც მუქარამ თურმე ვერ გასჭრა და ქალს გული ვერ მოუბრუნა. ბოლოს განშორებისას სთხოვა ვაჟმა: ნება მიბოძე უკანასკნელად გაკოცო და გამოგემშვიდობოო. ქალმა ნება დართო. ვაჟს ორივე ხელი თავში წაუვლია და უცბად ცხვირს მიჰვარდნია და მოუკვნეტია.

ქალი სამი თვე საავადმყოფოში წოლილა. ვაჟისთვის სასამართლოს 13 თვით ციხეში ჯდომა მიუსჯია.

**უზარმაზარი ტახი.**

ამ რამდენიმე ხნის წინად სამის წლის ტახი მოეკლათ. მისი ხორცი იწონიდა 21 ფუთს. ღორს სიმაღლე ორი არშინი ჰქონია, ხოლო სიგრძე სამს არშინზე ცოტა მეტი.

**ახალი გამოგონება.**

ამ ბოლო დროს ერთს ამერიკელს, უმავთულო ტელეგრაფის უფროსს სახელად ვილიამ რუსელს ახალი საშუალება გამოუგონია ჰაეროპლანების და ცეპელინების ასაფეთქებლად.

რუსელი მაგალითებით უმტკიცებს თავისიანებს, რომ სხივებისა და ელექტრონის ტალღის შეერთებით ყოველგვარ ჯურის ჰაეროპლანი აფეთქდებაო. რუსელს თავისი გამოგონება უცდია აგრეთვე წყალქვეშა ნავების ასაფეთქებლად და გამორკვეულა, რომ მის მიერ აღმოჩენილ სხივებს მეტად დიდი ძალა აქვს და რასაც კი დაუმიზნებ—უმალ ანადგურებსო.

რუსელის აზრით, მთავარი დაბრკოლება ამ სხივებისა ის არის, რომ მისი მიმართვა რომელსამე მხარეს მეტად ძნელია.

თუ როგორ უნდა იხმარონ, ან როგორ უნდა იქმნეს გამოყენებული ის სხივები, რუსელი საიდუმლოდ ინახავს.

**სიკვდილი სიცილისაგან.**

ერთ ერთ ცირკში თურმე ერთს მსახიობ—მასხარას ისეთი სასაცილო ამბები უამბნია, რომ ხალხი თურმე სიცილით იხოცებოდა.

მასხარას შეუმჩნევია, რომ ერთი თვრამეტის წლის ყმაწვილი მეტის მეტად იცინოდა და არაქათი აღარა ჰქონდა. მიჰვარდნია და წყლით მობრუნება დაუწყია. მაგრამ მისი ნერვები თურმე მეტად აღიზიანებულა ერთი დაუძახნია: ეს ძალიან კარგი იყოო, და გარდაცვლილა.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მო-[illegible]

([illegible] ტფილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 | სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 | სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 | სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 | სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ | „ | |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ | „ | |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 „ | „ | |
| იორიდან | 11 „ 35 „ | „ | |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 „ | „ | |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | დღის | |
| მელაანიდან | 2 „ 37 „ | „ | |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 „ | „ | |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 „ | „ | |
| თელავში მიდის | 5 „ 35 „ | „ | |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 „ | „ | |
| კარდენახიდან | 4 „ 50 „ | „ | |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ | „ | |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 „ | „ |
| იორიდან | 2 „ 53 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 „ | „ |
| ნავთლულ-კახეთ. | 4 „ 31 „ | „ |
| ნავთლულ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 „ | „ |


წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია:

ქართოულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა.კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.